ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5656021

ნომერი: AR1855871

თარიღი : 12.10.2021

გაცემის თარიღი : 27.10.2021

გაცნობის თარიღი : 27.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქევანიშვილი პ/ნ 60002009962
- ქ. თბილისი წყალტუბოს ქ. I კორპუსი ბ.#34

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.მიწის ნაკვეთს კვეთს ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი, ასევე ხაზოვანი ნაგებოობა N01.00.082 (გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული სადენები). საჭიროა წარმოდგენილი იქნას ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეების პოზიცია/თანხმობა სამშენებლო სამუშაოების თაობაზე.

2.მიწის ნაკვეთზე ვრცელდება მაღალი გეოსაშიშროების არეალი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და საექსპერტო შეფასება.

3....არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას ტოპოგრაფიული გეგმა, დასკანერებული, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ სველი ხელმოწერით დამოწმებული.

4....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> ....ფუნქციური დანიშნულება :
საჭიროა დაზუსტდეს საპროექტო ობიექტის ფუნქციების პროცენტულობა. გაითვალისწინეთ:
საზოგადოებრივ საქმიან ზონა 1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა.
იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ფუნქციის პროცენტულობა 25%-ს აღემატება, პირველ რიგში, საჭიროა მიმართოთ სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მისაღებად.

5. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შენობის განთავსების სქემა.

6.საკითხი გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (N60-01212862889). პასუხი გეცნობებათ დამატებით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.